



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N08

ქ. მარნეული

24.05.2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: -

ამირან გიორგაძე, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, ნიკოლოზ გოგოჭური, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, ტარიელ მამედოვი, ლევონ აკოპიანი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, აშრაფ ტუკანოვი, არსენ ახვერდიანი, როვშან ისკანდაროვი, აივაზ ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, აკამედ იმამკულიევი, ივანე ხალულაშვილი.

არ ესწრებოდა:

ვანო ბურნაძე, ზურაბ ფანგანი, ილხამ გასანოვი, დავით ხუციშვილი, ნიკოლოზ მუმლაძე, რამინ ალახვერდიევი, თორნიკე გოგლიძე, გეიდარ მუსაევი, მირკაზუმ იაგუბოვი, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი, რაფიკ ჯაფაროვი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ზაურ ტაბატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ხარშილაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი **ილია ყალაბეგაშვილი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და განვითარების პროცესის დაგეგმარების განყოფილების უფროსი **კარლო ასანიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადელია**, ამავე განყოფილების სპეციალისტები: **ნატო დოკვაძე**, **ნათია გაფრინდაშვილი**, **ბელა თედორაძე**, **დიმიტრი აბრამიშვილი**, **თეონა ფარჯიანი** და **როენა ახოზაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და

გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი ია ესეზუა, ამავე განყოფილების სპეციალისტები: ცოტნე ბოჭოიძე, მარიამ კაპანაძე და ხოშგადამ ნოვრუზალოვა, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე: ელსან ჰასანოვი, ორხან ნაბიევი და შერმადინ ბოჭოიძე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი: თემურ შუბითიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ - ტექნიკური და კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი კოტე ბოჭოიძე, ამავე განყოფილების სპეციალისტები: ქეთევან ხვედელიძე და გელა შუბითიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტები ხელშეკრულებით: თამაზ ბოჭოიძე, გაბილ ხალილოვი, მამუკა გიგანი, გიორგი ჩაჩანიძე, არმაზ მუმლაძე და აგილ ამირჯანოვი, მოქალაქეები: ირაკლი ჩხიტუნძე და დავით ქიმაძე. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტაჟიორები: მარიამ გოგრიჭიანი, მედეა გიორგაძე და თინათინ კობერიძე.

ასევე ესწრებოდნენ:

მარნეული TV-სა და რადიო მარნეულის წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მომსახურეთა უწყვეტი სწავლების წლიური გეგმის დამტკიცების თაობაზე.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის მოადგილის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
7. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
8. სპორტსმენების დაჯილდოება.
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 31 მარტის N32-3221090222 წერილის განხილვის შესახებ.
10. სოციალური საკითხები.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 20 მაისის N32-322140272 წერილით შემოსული დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ დასაზუსტებელია ბიუჯეტში შესატანი ზოგიერთი ცვლილება, საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებით საკითხი გადატანილი იქნა შემდგომი განხილვისათვის.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ გივი გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 20 მაისის N32-3221140113 წერილით მოსაწონებლად შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 19 მაისის N03-3221139274 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი რეგიონალური განვითარების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N33. 24.05.2021 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 20 მაისის N32-3221140137 წერილით შემოსული განკარგულების პროექტი საჯარო მოხელეთა უწყვეტი სწავლების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N34. 24.05.2021 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭონიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის 2021 წლის 21 მაისის N19/33211413-33 განცხადებით წარმოდგენილი 2021 წლის 19 მაისის N1 ოქმი ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის მოადგილედ ივანე ხალულაშვილის არჩევის შესახებ, რაც მიღებული იქნა ცნობად. (მიღებულია განკარგულება N35. 24.05.2021 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსმა ზანდა კვანჭიანმა საკრებულოს წევრებს გაუკეთა პრეზენტაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ, რაც მიღებული იქნა ცნობად.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N39. 24.05.2021 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N53 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N38. 24.05.2021 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 17 მაისის N32-3221137209 და N32-3221137159 წერილებით შემოსული დოკუმენტაცია და ითხოვა მხარდაჭერა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გადაცემა, თითოეულს 1500 ლარის ოდენობით, მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტსმენების კოტე კაპანაძის და ლუკა კაპანაძისათვის, რომლებმაც მიმდინარე წლის 10-11 აპრილს ქალაქ თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში ახალგაზრდებს შორის ძიუდოში დაიკავეს პირველი და მეორე ადგილი, ხოლო მწვრთნელები დემური ჟირჟილიანი და დავით ხერგიანი 500-500 ლარით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N36. 24.05.2021 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ მთვარელიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 31 მარტის N32-3221090222 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2021 16 მარტის N07-3221075300 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 121-ე მუხლის საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს სადახლოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სადახლოში, მარნეულის მუნიციპალიტეტის ძირითადი ქონების (საკადასტრო კოდი: 83.16.13.031) გასხვისების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად. ხმა მისცა საკრებულოს 23 წევრმა (მიღებულია განკარგულება N37. 24.05.2021 წ).

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბესიკ გუჯეჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ დახმარებას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეშვიდე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:
ამირან გიორგაძე